ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4952916

ნომერი: AR1748282

თარიღი : 13.05.2020

გაცემის თარიღი : 14.05.2020

გაცნობის თარიღი : 14.05.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 6 , (ნაკვეთი N29/54);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბესო შულაია პ/ნ 19001010173
- ზუგდიდი ი.მოსაშვილის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1. .მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები. -> .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: ველი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: №867927 (№4457343 22.04.2019წ.)

2. .მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები. -> .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: ველში უნდა მიეთითოს 05 სექტემბერი 2013წ.

3. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმის საფუძველზე დამუშავებული გენ-გეგმა 1:500 მასშტაბში ტოპოგეგმაზე დატანილი (მიმდებარე ტერიტორიის, მისასვლელი გზის, ტერიტორიაზე შესასვლელის, კომუნიკაციების, შენობის სახურავის, წყალშემკრები მილების, საკადასტრო საზღვრების, ძირითადი ღერძების და ღერძული მანძილების ჩვენებით, საპროექტო შენობის საკადასტრო საზღვრებზე მიბმით, ასევე უნდა იყოს კითხვადი).

4. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: შესწორდეს ზემოაღნიშნულის შესაბამისად

5. .კორექტრებული პროექტს განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.: განმარტებით ბარათში დაწვრილებით აისახოს კორექტირებით გამოწვეული სამუშაოების თაობაზე.

6. .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: ჭრილების ნახაზებზე დაიტანეთ საძირკვლის მაქსიმალური ჩაღმავების ნიშნული და შესაბამისი ნიშნული მიუთითეთ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელში. შენობის მთლიანი კონსტრუქციული სიმაღლე უნდა იყოს 12 მეტრამდე, გაითვალისწინეთ: II კლასს განეკუთვნება: 5 მ-დან 12 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-დან 4 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-19 მუხლის (შენობა-ნაგებობების კლასები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის) მე-6 პუნქტის თანახმად ამ მუხლის მიზნებისათვის შენობა-ნაგებობის სიმაღლე განისაზღვრება საძირკვლის ყველაზე დაბალი ნიშნულიდან: შენობის შემთხვევაში – შენობის საანგარიშო ზედაპირ(ებ)ის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე, ხოლო ნაგებობის შემთხვევაში – ნაგებობის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე.

7. .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ვინაიდან საპროექტო ობიექტი რთულ რელიეფზეა განთავსრებული და შენობის გარკვეული ნაწილი მიწის ზედაპირის ნიშნულის ქვევით არის განთავსებული, იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს დადგენა თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით –2,60 –ნიშნულზე არსებული ფართობის მონაცემი შედის თუ არა კ2–ის საანგარიშო ფართობის მონაცემის დათვლისას, ვერ ირკვევა აღნიშნული მიწისქვეშა თუ მიწისპირა სართულია, საჭიროა წარმოადგინოთ სართულის

–2,60 ნიშნულზე ფასადების განშლა გრუნტის ზედაპირის რელიეფის ხაზის დატანით და გრუნტის ზევით და ქვევით შესაბამისი ფართობების მითითებით. ზემოაღნიშნულის წარმოდგენის შემდეგ იქნება შესაძლებელი კ-2 კოეფიციენტის მონაცემრების გადამოწმება;

8. .შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: გეგმებზე დაიტანეთ ნიშნულები. ასევე "5-1" ღერძებში განთავსებულ ფანჯრის ღიობებზე დატანილ იქნას მინა-ბლოკის სახასიათო ფაქტურა და მიეთითოს მინა-ბლოკი.

9. .შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: და .შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: ჭრილებზე და ფასადებზე ასახეთ
გრუნტის ზედაპირი. ფასადი „ა-დ“ და გეგმა +3.00 ნიშნულზე არ შეესაბამება ერთმანეთს. აღნიშნული მოიყვანეთ ურთიერთშესაბამისობაში. ასევე "5-1" ფასადზე განთავსებულ ღიობებზე დაიტანეთ მინა-ბლოკის სახასიათო ფაქტურა და ყველა ღიობს მიეთითოს მინა-ბლოკი.

10. .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : შესწორდეს ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად და დამატებით წარმოდგენილ იქნას -2,60 ნიშნულზე განთავსებული ფართის განშლა.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.